ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი № 5

ქ. ლანჩხუთი 21.12.2021 წელი

11.00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი;**

კომისიის წევრები: ნინო მშვიდობაძე, დარეჯან ბურჭულაძე, კარლო წილოსანი, ირმა მგელაძე, რეზო კვერენჩხილაძე, ელისო ჭიჭინაძე.

სხდომას ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **რუსუდან გვარჯალაძე,** მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია.**

სხდომის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კარლო კვიტაიშვილი/

2. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა. მან კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო წარმოდგენილი გეგმის პროექტი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

კომისიის სხდომას შემოემატა ნინო მშვიდობაძე.

2. სხვადასხვა

1. დარეჯან ბურჭულაძემ განაცხადა, რომ სტალინის ქუჩაზე (ყოფილი სახანძროს ტერიტორია) დაგეგმილი იყო და მოსახლეობისთვისაც დაპირება, რომ მოეწყობოდა მინი-სტადიონი. დაინტერესდა ამ ეტაპზე რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით.

კარლო კვიტაიშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული ტერიტორია დასუფთავდა სხვადასხვა ნარჩენებისგან, მაგრამ განიხილება პროექტი, რომ ამ ტერიტორიაზე ისევ უნდა აშენდეს სტანდარტების შესაბამისი სახანძრო-სამაშველო სამსახური.

2. დარეჯან ბურჭულაძემ განაცხადა, რომ ყოფილი ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე მიმდინარეობს კოლეჯის მშენებლობა. გასულ წლებში იგეგმებოდა და საკრებულომაც განიხილა სპორტული დარბაზის მშენებლობა. დაინტერესდა თუ რა მდგომარეობაა ამ კუთხით.

3. ირმა მგელაძემ განაცხადა, რომ ყოფილი „ჩაის ფაბრიკის" ტერიტორიაზე (უკან მხარეს) წლების მანძილზე უამრავი სამშენებლო მასალა დაგროვდა. აუცილებელია შესაბამისი ტექნიკით მოხდეს ტერიტორიის გასუფთავება.

4. კარლო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე უნდა მოწესრიგდეს გარე ვაჭრობა. დაუშვებელია საკვები პროდუქტის ქუჩაში გაყიდვა. გარემოვაჭრეები უნდა შევიდეს შესაბამის შენობებში. ასევე მოსაწესრიგებელია რომ სამარშუტო ტაქსები გაჩერდეს შესაბამის სადგომზე.

5. დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ ე.წ. ძველ საავადმყოფოში სამუშაო პროცესი მიმდინარეობს, ტარდება აცრები და სხვა პროცედურები. საავადმყოფოს მიმდებარე და შიდა ეზოს ტერიტორია საშინელი მოუწესრიგებელია. აუცილებელია მოწესრიგდეს მიმდებარე ტერიტორია, რომ მოქალაქეებმა შეძლოს ნორმალურად შენობამდე მისვლა.

6. დარეჯან ბურჭულაძემ დააყენა წინადადება, რომ მოსახლეობა ითხოვს ე.წ. ავტობანის ჩამოსახვევთან ვიდეოთვალის დამონტაჟებას, რადგანაც მძღოლები მოძრაობის წესებს არღვევენ და უამრავი პირუტყვი დააზარალეს.

7. კარლო კვიტაიშვილმა და კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ მაწანწალა ძაღლების პრობლემა კვლავ გადაუჭრელია. აუცილებელია მოეწყოს თავშესაფარი ან გამოიძებნოს რაიმე საშუალება, რომ ეს ცხოველები სადმე განთავსდეს.

8. ელისო ჭიჭინაძემ განაცხადა, რომ ონკოპაციენტებს ესაჭიროებათ PET/ST (პეტი) კვლევა, რომელიც 3 000 ლარი ღირს. სამწუხაროდ სადაზღვევო კომპანიები არ ანაზღაურებენ. იქნებ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველთათვის, მოხდეს გარკვეული პროცენტით დაფინანსება.

9. ელისო ჭიჭინაძემ განაცხადა, რომ ქალაქში აუცილებელია მგზავრებისთვის მოეწყოს მოსაცდელი. განსაკუთრებით უამინდობის დროს უხერხული სიტუაცია იქმნება.

10. ელისო ჭიჭინაძის თხოვნაა, რომ სოფელ ლესას საკმაოდ ლამაზი ცენტრი აქვს, მდებარეობაც უწყობს ხელს და სურვილი აქვს მოეწყოს ნამვის ხე.

11. ნინო მშვიდობაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მრავლად არის მუზეუმები. სასურველია გაერთიანდეს ესენი და იყოს ერთი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელსაც ექნება ექსპონატების მოვლის სტანდარტული პირობები.

12. ელისო ჭიჭინაძემ განაცხადა, რომ საფეხბურთო კლუბი „გურია" ლანჩხუთელებისთვის არის ბრენდი, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია. მოხდეს დეპუტატების და კომპეტენტური

პირების ჩართულობა, რომ სწორად, კლუბის სასარგებლოდ შედგეს ხელშეკრულება და შემდგომ გავიდეს აუქციონზე.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №5 სხდომის
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი 21.12.2021 წ.

2021 წლის 21 დეკემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
21.12. 2021 წელი
11.00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – კარლო კვიტაიშვილი	10[55]	
2. ნინო მშვიდობაძე	11:11	
3. დარეჯან ბურჭულაძე	10 50	
4. ლოლიტა ურუშაძე	—	ს/ ინსტიტუტი
5. კარლო წილოსანი	10[55]	
6. ირმა მგელაძე		
7. მაკა მშვიდობაძე	—	ს/ ინსტიტუტი
8. გოჩა ჯანაშია	—	ს/ ინსტიტუტი
9. რეზო კვერენჩხილაძე	11[00]	
10. ელისო ჭიჭინაძე	10[50]	